საქართველო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**

Georgia

Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia

Legal entity of public law –

**BATUMI ART TEACHING UNIVERSITY**

მისამართი: ბათუმი 6000, ლუკა ასათიანის ქ. №37 ს/კ 245628496

ტელ/Tel: 27 98 95; 27 86 67 www.batu.edu.ge; E-mail: info@batu.edu.ge

address: №37 Luka Asatiani Street, Batumi 6000 I/C 245628496

№ 01-18/256 23 09 2016 წ.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელს

ქალბატონ თ. სანიკიძეს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2016 წლის 21 სექტემბრის წერილის საფუძველზე წარმოგიდგენთ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნიერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის შესწორებულ ფორმას.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით

რექტორის მ/შ: გელა ზერიძე

დანართი

## მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარი

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება | სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი |
| | იურიდიული მისამართი | ბათუმი, ლუკა ასათიანის 37 |
| | პროგრამის განხორციელების ადგილი | სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი |
| | ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი) | info@batu.edu.ge |
| | ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | რექტორი - მესხია ერმილე ermile_mesxia@mail.ru |
| | საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | ჭიჭილეიშვილი მაია 593362361 maiachichileishvili@mail.ru |

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი |
| | პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება |
| | ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი) | №74 08.04.2014 |
| | პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა | 5 |
| | სწავლების ენა პროგრამის მიხედვით | ქართული |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებში | 60 |
| | მიზანი და სწავლის შედეგი * | იხ. დანართი |

ინფორმაცია მოდულის შესახებ

| № | პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით | ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის | სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით | დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა | ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა | აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები |
| 1 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 5 | 1900 | 5 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ზეპირი გამოცდა სპეციალობაში | |

* მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

23.09.2016

ბეჭედი

ხელმოწერა

| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა -<br>საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი. პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს მასწავლებლისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნა, დაეუფლოს ღრმად საგანს და მისი სწავლების მეთოდიკას.<br>სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების პროგრამის მიზანია მასწავლებლის პროფესიული და დარგობრივი უნარ-ჩვევების დაუფლება, ხელოვნების მასწავლებლისათვის საჭირო უნარების შეძენა: შემოქმედებითი იდეების გამოხატვა ხელოვნებაში, ხელოვნების აღქმა ისტორიულ კონტექსტში, ხელოვნების ნაწარმოების ანალიზისა და შეფასების ცოდნა, ხელოვნების საგნის თითოეული მიმართულების სწავლების მეთოდების დაუფლება. |
| სწავლის შედეგი | |
| ცოდნა და გაცნობიერება | • აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ცოდნა;<br>• იცის სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების თეორიული საფუძვლები;<br>• აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება;<br>• იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები;<br>• იცის, როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი;<br>• იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას;<br>• გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;<br>• იცის განვითარების ფსქოლოგიური საფუძვლები;<br>• იცის, როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო.<br>• იცის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლისა და სწავლების თეორიულ -პრაქტიკული საფუძვლები;<br>• იცის ხელოვნების პრინციპებისა და ელემენტების სწავლება ნამუშევრის შექმნისას.<br>• იცის სახვითი მასალა და ტექნიკა.<br>• იცის ხელოვნების ნიმუშების ამოცნობა და ზოგადი დახასიათება;<br>• იცის სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ანალიზი,სხვადასვა ქვეყნისა და პერიოდის ხელოვნებას შორის ისტორიულ-კულტურული კონტექსტების გამოვლენა;<br>• იცის ხელოვნების ნიმუშის ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია.<br>• იცის ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილები.<br>• იცის ხელოვნების ტერმინები და მხატვრული ენა.<br>• იცის ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურებას<br>• იცის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად.<br>• იცის საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის თვითშეფასება. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | • შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;<br>• შეუძლია შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა მიღწევების ამაღლების მიზნით;<br>• შეუძლია კოლეგებთან თანამშრომლობა და სასწავლო პროცესის მართვა;<br>• შეუძლია სწავლისა და განვითარების ფსიქოლოგიური თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის; |

| | |
|---|---|
| | • შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის ხელშემწყობი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს მოწყობა;<br>• აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი;<br>• აქვს მოსწავლეთა და მშობელთათვის კონსულტაციის გაწევის უნარი.<br>• შეუძლია განუვითაროს მოსწავლეებს ხელოვნების ნიმუშების აღქმის, შეფასების უნარები;<br>• შეუძლია ხელოვნების პრინციპების, მხატვრული ხერხებისა და ელემენტების სწავლება ნამუშევრის შექმნისას.<br>• გააჩნია სახვითი მასალისა და ტექნიკის ფლობა;<br>• შეუძლია ხელოვნების ნიმუშების ამოცნობა და ზოგადი დახასიათება;<br>• შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ანალიზი, სხვადასვა ქვეყნისა და პერიოდის ხელოვნებას შორის ისტორიულ-კულტურული კონტექსტების გამოვლენა;<br>• შეუძლია ხელოვნების ნიმუშის ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია.<br>• გააჩნია ხელოვნების ისტორიის პერიოდების, მიმდინარეობების და სტილების დახასიათების უნარი.<br>• იცის ხელოვნების ტერმინები და მხატვრული ენა.<br>• იცის ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურებას.<br>• შეუძლია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად.<br>• საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის თვითშეფასება. |
| *დასკვნის უნარი* | • შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის შედეგების ანალიზი;<br>• შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება. |
| *კომუნიკაციის უნარი* | • შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან,<br>• მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან;<br>• აქვს ქართულ და უცხოურ ენაზე პროფესიული ლიტერატურის გაცნობისა და კოლეგებთან პროფესიაზე კომუნიკაციის უნარი;<br>• შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია;<br>• აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოძიებისა და გამოყენების უნარი. |
| *სწავლის უნარი* | • აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი;<br>• შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. |
| *ღირებულებები* | • იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად;<br>• ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას;<br>• აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.<br>• გაცნობიერებული აქვს ხელოვნების უნივერსალური ენის საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარების მნიშვნელობა.<br>• იცის კულტურული ფასეულობების პატივისცემა და შეუძლია მისი საზოგადოებაში დამკვიდრება.<br>• აქვს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის, საქართველოსათვის დამახასიათებელი მულტიკულტურული ტრადიციებისა და ფასეულობების პატივისცემის უნარი. |

სწორია: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი მ. ჭიჭილეიშვილი